საქართველოს მთავრობის

დადგენილება №65

2022 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-6 მუხლის 3^2 და 9^1 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 15 – 90 დღის განმავლობაში;“.

3. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ექვემდებარება იზოლაციას 5 დღის განმავლობაში, ამასთანავე, ეძლევა ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 6 – 12 კალენდარული დღის განმავლობაში:

ბ.ა) არავაქცინირებული პირების შემთხვევაში;

ბ.ბ) არასრულად ვაქცინაციის შემთხვევაში;

ბ.გ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 1 – 14 დღის განმავლობაში;

ბ.დ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 90 დღეზე მეტი ხანგრძლივობისა და ბუსტერდოზის არმქონე პირების შემთხვევაში;

ბ.ე) კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის შემდგომ პერიოდში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 10 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**